



## მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

### პროგრამის სახელწოდება

საბანკო პროცესების მართვა

Banking Process Management

### ფაკულტეტი

ბიზნეს-ინჟინერინგი

Business-Engineering

### პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

სრული პროფესორი გიორგი ცაავა

### მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში საბანკო საქმის სპეციალიზაციით  
 (Master of Business administration/finance in banking)

*მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში*

### პროგრამის მოცულობა კრედიტებით

120 კრედიტი

### სწავლების ენა

ქართული

### პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია საბანკო პროცესების მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების სიღრმისეული შესწავლა, შემოქმედებითი მუშაობის უნარების მქონე სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ეცოდინებათ:

- საბანკო პროცესების მართვის მეთოდები;
- თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება პრაქტიკული მენეჯმენტის საქმიანობაში ;
- საბანკო საქმეში პროცესული მიდგომის და ინოვაციური მენეჯმენტის მეთოდოლოგიები;

ფინანსებისა და საბანკო საქმის, თანამედროვე საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების, ფულად-საკრედიტო სისტემის, საჯარო და კორპორაციული ფინანსების თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა.

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <http://www.gtu.ge/study/index.php> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩაირიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

## სწავლის შედეგები და კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

### 1. ცოდნა და გაცნობიერება:

- ზოგადი კომპეტენტურობა:
  - საერთაშორისო საინვესტიციო ურთიერთობების მიზანშეწონილობისა და სარგებლიანობის გაცნობიერება; ცოდნის ფლობა საერთაშორისო ინვესტიციების შესახებ; საერთაშორისო საინვესტიციო რისკებისა და მისგან გამომდინარე მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი შედეგების გაცნობიერება;
  - მაგისტრანტს შეექმნება მკაფიო წარმოდგენები პროცესულად სტრუქტურირებული ბიზნესის შესაძლებლობებზე, პროცესების მოდელირებასა და პოტენციალის შესწავლაზე მოდელის მეშვეობით, ბიზნეს-პროცესების რეფორმირების მეთოდოლოგიაზე.
- დარგობრივი კომპეტენტურობა:
  - ფინანსური ინჟინერინგის არსისა და მნიშვნელობის გააზრება, განვითარების ფაქტორების გათვითცნობიერება, ცოდნის ბაზის დაუფლება;
  - საჯარო ფინანსების მართვის პრინციპების შესწავლა;
  - აუდიტორული საქმიანობის სტრუქტურის და ორგანიზაციის გაცნობიერება;
  - საბანკო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნებისა და წესების გაცნობიერება;
  - კორპორაციის მოგების ფორმირებისა და მართვის ფინანსური მექანიზმების გაგება;
  - საბანკო ბიზნეს-ლოგისტიკის ძირითადი პრინციპების და ამოცანების გაცნობიერება;
  - საბანკო ბიზნეს-პროცესების მართვის სისტემების ძირითადი ცნებების და ტექნოლოგიური პროცესების გაცნობიერება;
  - ფინანსური რისკების მართვის მეთოდების შესწავლა;
  - საბანკო სისტემის ევოლუციის ძირითადი ეტაპების გაცნობიერება;
  - ბანკის ადამიანური რესურსების მართვის სტილის სრულყოფა;

### 2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- ზოგადი კომპეტენტურობა:
  - საერთაშორისო საინვესტიციო რისკების გამოვლენა და თავიდან აცილების ღონისძიებების შემუშავება;
  - უცხოურ ენაში დედანსა და თარგმანს შორის შინაარსობრივ-აზრობრივი და ფორმალურ-ესთეტიკური ეკვივალენტების მოძიების შესაძლებლობა;
- დარგობრივი კომპეტენტურობა:
  - ფინანსური ინჟინერინგის ფიზიკური ინსტრუმენტების - ფინანსური პროდუქტების, პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა;
  - საკრედიტო საქმიანობის ორგანიზაციისა და საკრედიტო მენეჯმენტის ეფექტიანობის შემოწმება.
  - ბანკებში ფინანსური ანგარიშგების მომზადება და ანალიზი.
  - კორპორაციების ფუნქციებისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, საკუთარი და მოზიდული რესურსების ღირებულების შეფასება;
  - საბანკო მომსახურების მიკრო, მაკრო და მეტა ლოგისტიკური სისტემების ანალიზი და ამოცანის დასმა;
  - საბანკო ბიზნეს-პროცესების მოდელის ურთიერთ დაკავშირება.
  - ინდივიდუალური მსესხებლის საკრედიტო რისკების მართვის ეტაპების განსაზღვრა;
  - ბანკის სტრატეგიული მენეჯმენტის ათვისება;

### 3. დასკვნის უნარი:

- ზოგადი კომპეტენტურობა:
  - ოპერაციათა დაგეგმარების და მიმდინარეობის კონტროლისთვის, აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის პროექტების შედგენისა და რეალიზებისთვის რელევანტური მონაცემების შეგროვება, მათი რაოდენობრივი ანალიზი და მის საფუძველზე გამოტანილი დასკვნების ასახვა საკუთარ პროფესიულ გადაწყვეტილებებში;
- დარგობრივი კომპეტენტურობა:

- ფინანსური ინჟინერინგის პროცესებისა და სტრატეგიის - აქტივებისა და პასივების თავისებურებების ანალიზის დაუფლება და გადაწყვეტილების მიღება;
- საგადასახადო სისტემის ეფექტიანობის შეფასება;
- რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ფინანსების როლის პრაქტიკული შეფასება.
- აუდიტორული საქმიანობის ანალიტიკური პროცედურების საფუძველზე აუდიტორული დასკვნის შედგენა;
- საკრედიტო ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკის ანალიზი და შეფასება;
- კორპორაციების ფულადი და საბრუნავი აქტივების, მათი ცალკეული ელემენტების ღირებულების შეფასება;
- საბანკო მომსამხურების პროცესის ფინანსური ნაკადების ლოგისტიკური ანალიზი;
- საბანკო ბიზნეს-პროცესების მოდელირება, მონიტორინგი და ანალიზი;
- საინვესტიციო პორტფელის ფინანსური რისკების ანალიზი და შეფასება;

**4. კომუნიკაციის უნარი:**

- ზოგადი კომპეტენტურობა:
  - სათარგმნი ტექსტის საკომუნიკაციო ღირებულების გადატანა ერთი ენიდან მეორეში;
  - ორიგინალიდან ადაპტატში ტექსტის ავტორის კომუნიკაციური მიზნის ტრანსლაციისათვის აუცილებელი და საკმარისი ინფორმაციის განსაზღვრა;
- დარგობრივი კომპეტენტურობა:
  - სამაგისტრო ნაშრომის დაცვისას პროფესიულ დებატებში ჩართვა, განსხვავებული აზრის გაგება და საკუთარი პოზიციის დასაბუთება;

**5. სწავლის უნარი:**

- ზოგადი კომპეტენტურობა:
  - ტექსტში ფაქტოგრაფიული, კონცეპტუალური და მიმოხილვით-ანალიტიკური ინფორმაციის იდენტიფიცირება;
  - ორიგინალიდან ადაპტატში ტექსტის ავტორის კომუნიკაციური მიზნის ტრანსლაციისათვის აუცილებელი და საკმარისი ინფორმაციის განსაზღვრა;
- დარგობრივი კომპეტენტურობა:
  - საბიუჯეტო სისტემის აგების პრინციპების შესწავლის პროცესის გათვითცნობიერება;
  - საბანკო მენეჯმენტის მსოფლიო გამოცდილების შესწავლა და გააზრება;
  - ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაში საბანკო სისტემის მნიშვნელობის გათვითცნობიერება;

**6. ღირებულებები:**

- ზოგადი კომპეტენტურობა:
  - გათავისებული აქვს საკუთარი პროფესიული პასუხისმგებლობა, როგორც მომხმარებელთა წინაშე, მიწოდებული მომსახურების და სერვისის ხარისხის მიმართ, ასევე ბიზნესის გარემოს დაცვითი და საზოგადოებრივი ვალდებულებები;
- დარგობრივი კომპეტენტურობა:
  - ფინანსური ინჟინერინგის ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების კანონმდებლური დაცვის საკითხების შეფასება და გადაწყვეტა.
  - სარეზერვო ფონდის ფორმირებისა და გამოყენების წესრიგის აუდიტის ორგანიზებულად ჩატარება;
  - ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადების სიზუსტე და დროულობა;
  - კორპორაციების საქმიანობისა და ფუნქციების, პრინციპების, საკუთრების ფორმებისა და სტრუქტურის ორგანიზებულად წარმართვა;
  - ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების შეფასება, გაზომვა და პროგნოზირება.

**სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები**

- ლექცია  
  სემინარი (ჯგუფში მუშაობა)  
  პრაქტიკული  
  ლაბორატორიული  
  პრაქტიკა
- საკურსო სამუშაო/პროექტი  
 დამოუკიდებელი მუშაობა  
 სამაგისტრო ნაშრომი

სწავლებისა და სწავლის ყველაზე გავრცელებული მეთოდები და მათი განმარტებები. მათგან საჭირო მეთოდს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, შეარჩევს პედაგოგი.

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ

შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეფლება საკითხს.

3. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** – მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

5. **ევერსტიკული მეთოდი** – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

6. **შემთხვევების შესწავლა (Case study)** – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში – კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.

7. **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა 2 მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;

დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);

- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;

- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;

- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;

- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

8. **როლური და სიტუაციური თამაშები** – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

9. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

10. **ინდუქციური მეთოდი** – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

11. **დედუქციური მეთოდი** – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

12. **ანალიზის მეთოდი** – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

13. **სინთეზის მეთოდი** – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

14. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი**. ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

15. **წერითი მუშაობის მეთოდი** – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

16. **ლაბორატორიული მეთოდი** – გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.

17. **პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, სპორტული მუშაობა და სხვ.

18. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

19. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

20. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შექმნილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

21. **ელექტრონული სწავლება (E-learning)** – გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიაური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს (მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვ.), რომელთა რეალიზებაც ხდება სპეციფიკური საშუალებებით. ელექტრონული სწავლება არის სამი სახის:

- დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პედაგოგისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით;
- დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური დასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად, ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს; ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური) - სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში

### სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე <http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf>

კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე [http://www.gtu.ge/study/scavleba/samag\\_Sefas.pdf](http://www.gtu.ge/study/scavleba/samag_Sefas.pdf)

### დასაქმების სფერო

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს:

- საფინანსო-საბანკო სისტემაში;
- ეკონომიკის ნებისმიერი სფეროს სახელმწიფო სექტორში და კერძო (ადგილობრივ და უცხოურ) კომპანიებში (კომერციული ბანკები, კორპორაციები, სადაზღვევო და საშუამავლო-სადისტრიბუციო კომპანიები, ფირმები, საინვესტიციო ფონდები, და სხვა), მცირე და საშუალო ბიზნესში;
- სახელმწიფო, სამთავრობო დაწესებულებებში და უწყებებში (სამინისტროები, დეპარტამენტები და ა.შ.);
- სამეცნიერო და ანალიტიკურ სტრუქტურებში;
- სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- საერთაშორისო ორგანიზაციებში;

**სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი**

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.

**თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 18**

**საგანმანათლებლო პროგრამის სქემა**

№	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	I წელი		II წელი		სულ კრედიტები
		სემესტრი I	სემესტრი II	სემესტრი III	სემესტრი IV	
	<b>სასწავლო კომპონენტი:</b>					
1	სასწავლო კურსები	30	25	20		75
	<b>კვლევითი კომპონენტი:</b>					
2	სამაგისტრო კვლევის პროექტი /პროსპექტუსი		5			5
3	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი			10		10
4	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა				30	30
ECTS კრედიტები	სემესტრში	30	30	30	30	120
	კურსზე	60		60		120

**პროგრამის საგნობრივი დატვირთვა**

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი		
				I წელი		II წელი
				სემესტრი		
				I	II	III
1	BSC0007-P	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური, გერმანული, ფრანგული)	არ გააჩნია	5		
2	TPT0007-LP	თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული)	არ გააჩნია		5	
3	INITC07-LS	საერთაშორისო ინვესტიციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები	არ გააჩნია	5		
4	BPREN02-LS	ბიზნეს-პროცესების ინჟინერინგი	არ გააჩნია	5		
5	FIIBP07-LS	ფინანსური ინჟინერინგი	ბიზნეს-პროცესების ინჟინერინგი		5	
6	PFIBP07-LS	საჯარო ფინანსები	არ გააჩნია	5		
7	BAABP07-LS	საბანკო აუდიტი	არ გააჩნია		5	
8	FRBBP07-LP	ფინანსური ანგარიშგება ბანკში	არ გააჩნია		5	
9	CFIBP07-LS	კორპორაციული ფინანსები	არ გააჩნია		5	
10	BBLBP07-LP	საბანკო ბიზნეს ლოგისტიკა	არ გააჩნია	5		

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი		
				I წელი		II წელი
				სემესტრი		
				I	II	III
11	MMBBP07-LP	საბანკო ბიზნეს-პროცესების მოდელირება და მართვა	არ გააჩნია			5
12	RISBP07-LS	რისკოლოგია	არ გააჩნია	5		
13	BAMBP07-LS	საბანკო მენეჯმენტი	არ გააჩნია			5
14	GTOBP07-W	სამაგისტრო პრაქტიკა	ფინანსური ინჟინერინგი			10
<b>სემესტრში</b>				<b>30</b>	<b>25</b>	<b>20</b>
<b>წელიწადში</b>				<b>55</b>		<b>20</b>
<b>სულ</b>				<b>75</b>		

**სწავლის შედეგების რუკა**

№	საგნის კოდი	სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები	ზოგადი და დარგობრივი კომპეტენტურობები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	BSC0007-P	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური, გერმანული, ფრანგული)	x	x		x		x
2	TPT0007-LP	თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული)	x	x		x		
3	INITC07-LS	საერთაშორისო ინვესტიციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები	x	x	x			
4	BPREN02-LS	ბიზნეს-პროცესების ინჟინერინგი	x	x	x			
5	FIIBP07-LS	ფინანსური ინჟინერინგი	x	x	x			
6	PFIBP07-LS	საჯარო ფინანსები	x	x	x			
7	BAABP07-LS	საბანკო აუდიტი	x	x	x			x
8	FRBBP07-LP	ფინანსური ანგარიშგება ბანკში	x	x	x			x
9	CFIBP07-LS	კორპორაციული ფინანსები	x	x	x			x
10	BBLBP07-LP	საბანკო ბიზნეს ლოგისტიკა	x	x	x			x
11	MMBBP07-LP	საბანკო ბიზნეს-პროცესების მოდელირება და მართვა	x	x	x			x
12	RISBP07-LS	რისკოლოგია	x	x	x			x
13	BAMBP07-LS	საბანკო მენეჯმენტი	x	x			x	x
14	GTOBP07-W	სამაგისტრო პრაქტიკა	x	x	x			

**პროგრამის სასწავლო გეგმა**

	სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები	საათები ECTS / საათი	ლექცია	სემინარი ( მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა საკუროსო სამუშაო/პროექტი	დამოუკიდებელი მუშაობა
1.	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური, გერმანული, ფრანგული)	5/135			45			90
2.	თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული)	5/135	15		30			90
3.	საერთაშორისო ინვესტიციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები	5/135	30	15				90
4.	ბიზნეს-პროცესების ინჟინერინგი	5/135	30	15				90
5.	ფინანსური ინჟინერინგი	5/135	15	30				90
6.	საჯარო ფინანსები	5/135	15	30				90
7.	საბანკო აუდიტი	5/135	15	30				90
8.	ფინანსური ანგარიშგება ბანკში	5/135	15		30			90
9.	კორპორაციული ფინანსები	5/135	15	30				90
10.	საბანკო ბიზნეს ლოგისტიკა	5/135	15		30			90
11.	საბანკო ბიზნეს-პროცესების მოდელირება და მართვა	5/135	15		30			90
12.	რისკოლოგია	5/135	15	30				90
13.	საბანკო მენეჯმენტი	5/135	15	30				90
14.	სამაგისტრო პრაქტიკა	10/270					90	180

პროგრამის ხელმძღვანელი

გიორგი ცაავა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის უფროსი

გურამ ჯოლია

ფაკულტეტის დეკანი

რუსუდან ქუთათელაძე

**მიღებულია**

ბიზნეს-ინჟინერინგის  
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე  
4 ივლისი, 2012 წელი  
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე

**შეთანხმებულია**

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურთან

გიორგი ძიძიგური